ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტების" თავმჯდომარის, იოსებ კუჭავას მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

ანგარიში №1

საანგარიშო პერიოდი: ოქტომბერი 2025 – ოქტომბერი 2026

წინამდებარე ანგარიში მიზნად ისახავს მოსახლეობისთვის 2025 წლის ოქტომბრიდან 2026 წლის ოქტომბრის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის სახით განხორციელებული საქმიანობის წარდგენას. ანგარიშვალდებულება დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია და გულისხმობს არჩეული პირის პასუხისმგებლობას ამომრჩევლების წინაშე, სწორედ ამიტომ წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას

I. მონაწილეობა საკრებულოს საქმიანობაში

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმონაწილეობდი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში, დავესწარი საკრებულოს 13 სხდომას (11 რიგითი, 2 რიგგარეშე) და ასევე ბიუროს 20 სხდომას. საკრებულოს საქმიანობა მოიცავს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი ბიუჯეტის, მუნიციპალური ქონების მართვის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას. ამ პროცესში აუცილებელია თითოეული საკითხის გაანალიზება, მისი შესაძლო შედეგების შეფასება და ისეთი გადაწყვეტილებების მხარდაჭერა, რომლებიც შეესაბამება მუნიციპალიტეტის საჭიროებებსა და მოსახლეობის ინტერესებს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს სხდომებზე განხილული საკითხები შეფასდეს, არა მხოლოდ მიმდინარე საჭიროებების, არამედ მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივიდან. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებას, მუნიციპალური ქონების ეფექტიან მართვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და მოქალაქეებისთვის უკეთესი პირობების შექმნას.

II. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მივიღე მონაწილეობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 10 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 29 საკითხი. როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფინანსური პოლიტიკის, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო პრიორიტეტებისა და ფინანსური რესურსების ეფექტიანი განაწილების საკითხების განხილვა. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია, რადგან სწორედ ფინანსური რესურსების სწორად დაგეგმვასა და განაწილებაზეა დამოკიდებული სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამის განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი მომსახურებების უზრუნველყოფა. შესაბამისად, კომისიის საქმიანობაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ საბიუჯეტო საკითხების საფუძვლიან შესწავლას და ისეთი გადაწყვეტილებების მხარდაჭერას, რომლებიც

პასუხობს მუნიციპალიტეტის რეალურ საჭიროებებს. ჩემი, როგორც კომისიის წევრის, ინტერესს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტების შეფასება, შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის განხილვა, დაგეგმილი პროგრამების დაფინანსებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური რესურსები მიმართული იყოს იმ მიმართულებებზე, რომლებიც გავლენას ახდენს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის თანმიმდევრულ განვითარებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის, ფინანსური დისციპლინისა და გამჭვირვალობის ხარისხს. ასევე მნიშვნელოვანია ბიუჯეტის შესრულების პროცესის შეფასება და ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებს ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. ვფიქრობ, რომ საბიუჯეტო საკითხების განხილვა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ თანხების განაწილებით, აუცილებელია იმის გააზრებაც, თუ რა შედეგს მოიტანს თითოეული გადაწყვეტილება და რამდენად შეესაბამება იგი მოსახლეობის ინტერესებს.

III. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მივიღე მონაწილეობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 15 სხდომაში, სადაც განხილულ იქნა 52 საკითხი. როგორც ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, ჩემთვის პრიორიეტულია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების ეფექტიანი მართვისა და საქალაქო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. აღნიშნული მიმართულებები უშუალოდ უკავშირდება მუნიციპალიტეტის განვითარების შესაძლებლობებს, ადგილობრივი რესურსების გამოყენებასა და მოსახლეობისთვის მოწესრიგებული, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას. ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიიდან გამოვყოფ პრიორიტეტებს მიმართულებების მიხედვით.

- ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ჩემი ინტერესის სფეროს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების შეფასება, ადგილობრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენება და ისეთი ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკური აქტივობის ზრდას. მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური განვითარების საკითხები განიხილებოდეს პრაქტიკული შედეგების გათვალისწინებით. ადგილობრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას შეუძლია ხელი შეუწყოს ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას, მუნიციპალური შემოსავლების ზრდასა და მოსახლეობისთვის უკეთესი გარემოს ჩამოყალიბებას.
- ქონების მართვა და განკარგვა, მოითხოვს დიდ პასუხისმგებლობას და სწორ ნაბიჯებს. თითოეული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის სამართლებრივ და ეკონომიკურ შეფასებას და ემსახურებოდეს

მუნიციპალიტეტის ინტერესებს. მნიშვნელოვანია არსებული ქონებრივი რესურსების სწორად შეფასება, მათი სათანადო გამოყენება და ისეთი მიდგომების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებასა და საზოგადოებრივი სარგებლის მიღებას.

- საქალაქო მეურნეობის მიმართულებით ჩემი საქმიანობის ინტერესს წარმოადგენს ქალაქის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და მუნიციპალური გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. მოწესრიგებული გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, უსაფრთხოებაზე და მუნიციპალიტეტის საერთო განვითარებაზე. მიმაჩნია, რომ საქალაქო მეურნეობის ეფექტიანი მართვა მოითხოვს კოორდინირებულ მუშაობას, არსებული რესურსების სწორად გამოყენებასა და პრობლემებზე დროულ რეაგირებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ისეთი გადაწყვეტილებების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალური გარემოს გაუმჯობესებას და უსაფრთხო სივრცეების შექმნას.

IV. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“

ფრაქცია შეიქმნა და საქმიანობს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტისა და წესდების შესაბამისად. ფრაქცია „ევროპელი სოციალისტები“ არის საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, საერთო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. საანგარიშო პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ მიერ ჩატარდა 6 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 11 საკითხი. ფრაქციის მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მოსახლეობის საჭიროებებს, მუნიციპალური სერვისების ხარისხსა და ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ფრაქციის საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამის სამსახურებთან კოორდინაცია და მათთან შეხვედრების ორგანიზება, სამსახურების შესრულებული ანგარიშების პერიოდული ზედამხედველობა, მათი გაანალიზება და პრობლემების გადაჭრა. მოწვეულნი იყვნენ შესაბამისი მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლები: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ქუთგანათების სერვისი“ და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისები“.

- „ქუთგანათების სერვისის“ წარმომადგენლებთან შეხვედრის ფარგლებში ყურადღება დაეთმო ქალაქის საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მოსახლეობისთვის კომფორტული გარემოს შექმნას. ოპერატიული და კოორდინირებული მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქუჩებში, საცხოვრებელ უბნებსა და საზოგადოებრივ სივრცეებში გადაადგილების

უსაფრთხოებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით თანამშრომლობა და საკითხების პერიოდული განხილვა ფრაქციის საქმიანობისთვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს.

- ფრაქციის ფარგლებში „სპეციალური სერვისების“ წარმომადგენლების მოწვევის მიზანს წარმოადგენდა შესაბამისი მუნიციპალური მომსახურების საკითხების განხილვა და იმ საჭიროებების გაცნობა, რომლებიც ქალაქის ყოველდღიურ ფუნქციონირებასა და მოსახლეობის კეთილდღეობას უკავშირდება. მნიშვნელოვანია მუნიციპალური გარემოს მოწესრიგება და მოსახლეობის საჭიროებებზე დროული რეაგირება. ამ მიმართულებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არსებული გამოწვევების განხილვას, მოსახლეობის ინფორმირებას და მომსახურების გაუმჯობესების შესაძლებლობებზე მსჯელობას.

ფრაქცია „ევროპელი სოციალისტებისთვის“ მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა პასუხობდეს მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის რეალურ საჭიროებებს, ასევე მუნიციპალური სამსახურების მუშაობა ორიენტირებული იყოს ხარისხიანი, დროული და ეფექტიანი მომსახურების უზრუნველყოფაზე. დადებითი შედეგების მისაღწევად, აუცილებელია მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან კოორდინაცია, აქტუალური საკითხების განხილვა და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გონივრული გადაწყვეტა.

V. სამომავლო საქმიანობის პრიორიტეტები

ჩემი მთავარი მიზანია, როგორც საკრებულოს წევრმა და ფრაქცია „ევროპელი სოციალისტების“ თავმჯდომარემ, ხელი შევუწყო მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღებას, მუნიციპალიტეტის თანმიმდევრულ განვითარებასა და მოქალაქეებისთვის უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნას. მომავალშიც საქმიანობის ძირითად მიზნად დარჩება პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, გამჭვირვალობა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომა. ჩემთვის, ასევე მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნება, მოქალაქეთა მოსაზრებების მოსმენა და მათი საჭიროებების შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისთვის წარდგენა.

იოსები კუჭავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

ფრაქცია ,,ევროპელი სოციალისტების'' თავმჯდომარე

23 ოქტომბერი, 2026 წელი